საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე – კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ვ. პ. ; დ. პ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.10.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 070/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ვ. მ.-ს /სიითი N/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ვ. მ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 24 ოქტომბერს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს ვ. პ.-მ და დ. პ.-მ. საჩივრის ავტორებმა მოითხოვეს ადვოკატ ვ. მ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 ვ. პ.-ს განმარტებით, ადვოკატ ვ. მ.-თან 2020 წლის 22 ივნისს გააფორმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ადვოკატს უნდა დაეცვა მისი შვილის - დ. პ.-ს ინტერესები

სისხლის სამართლის საქმეში. დ. პ.-ს ბრალად ედებოდა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა.

1.3 ვ. პ. განმარტავს, რომ საადვოკატო მომსახურების საფასურად განისაზღვრა 6000 აშშ დოლარი. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვ. პ.-ს თანხის ნახევარი საადვოკატო მომსახურების დასაწყისში, ხოლო დარჩენილი ჰონორარი საქმის წარმოების დასრულებისას უნდა გადაეხადა. ვ. პ.-ს განმარტებით, ადვოკატს გადაუხადა საადვოკატო მომსახურების ნაწილი - 3000 აშშ დოლარი.

1.4 ვ. პ.-ს განმარტებით, ადვოკატს დ. პ.-სათვის საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია გამოძიების ეტაპზე და სამივე ინსტანციის სასამართლოში, თუმცა ადვოკატ ვ. მ.-ს კლიენტის ინტერესების დასაცავად არ განუხორციელებია საპროცესო მოქმედებები. ვ. პ.-ს განცხადებით, ადვოკატი ვ. მ. 2020 წლის 22 ივნისიდან 2020 წლის 22 ივლისამდე სულ ორჯერ შეხვდა კლიენტს პირადად, რაც დასტურდება სასჯელაღსრულების დაწესებულების მიერ გაცემული ცნობით, თუმცა ადვოკატი ატყუებდა, რომ დ. პ.-ს შეხვდა რვაჯერ.

1.5 ვ. პ. განმარტავს, 2020 წლის 24 ივლისს, ადვოკატმა ვ. მ.-მა, სხვადასხვა საპროცესო მოქმედების განსახორციელებლად, დამატებით 3000 აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვა, თუმცა კონკრეტულად რა მოქმედებების განსახორციელებლად სჭირდებოდა აღნიშნული თანხა, ადვოკატს არ განუმარტავს.

1.6 ვ. პ. განმარტავს, რომ მოთხოვნის მიუხედავად, ადვოკატმა არ წარუდგინა ხარჯთაღრიცხვა და მიაწოდა ცრუ ინფორმაცია, რომ აწარმოებდა მოლაპარაკებას პროკურატურასთან და დარინას პავლოვას ერთი ან ორი წლით თავისუფლებას აღკვეთას მიუსჯიდნენ. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს არც საგამოძიებო ორგანოში და არც სასამართლოში საქმის წარმოებისას, კლიენტის დასაცავად არ განუხორცილებია საპროცესო მოქმედებები.

1.7 ვ. პ. განმარტავს, რომ ადვოკატის არაკვალიფიციურობის გამო, მიიღო გადაწყვეტილება შეეწყვიტა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა ვ. მ.-თან, რის შესახებაც წერილობითი ფორმით აცნობა ადვოკატს. საჩივრის ავტორის განცხადებით, 2021 წლის 08 მაისს პირადად შეხვდა ადვოკატს და მოსთხოვა გამოუმუშავებელი ჰონორარის - 1500 აშშ დოლარისა და საქმის მასალების უკან დაბრუნება. ადვოკატმა უარი განაცხადა გამოუმუშავებელი ჰონორარისა და საქმის წარმოების მასალების დაბრუნებაზე.

1.8 ვ. პ. განმარტავს, რომ 2020 წლის 30 ივნისის შემდეგ ადვოკატი დაუკავშირდა პოლიციას და აცნობა, რომ დ. პ.-ს სურდა მათთან თანამშრომლობა; ადვოკატმა ელექტრონული პროგრამის საშუალებით მიიღო მონაწილეობა სასამართლო პროცესში, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, დ. პ.-ს აღარ სურდა მასთან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის გაგრძელება, რის გამოც 2020 წლის 10 აგვისტოს დ. პ.-მ სასამართლო სხდომაზე დააყენა ადვოკატის აცილების შუამდგომლობა.

1.9 დ. პ.-ს განმარტებით, ადვოკატი არ პასუხობდა ვ. პ.-ს ზარებს და არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის წარმოების შესახებ.

1.10 დ. პ.-ს განმარტებით, ადვოკატი სათანადოდ არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და არ მოქმედებდა კლიენტის ინტერესების შესაბამისად, კერძოდ, აიძულა ხელი მოეწერა დოკუმენტისთვის ისე, რომ მისთვის არ განუმარტავს დოკუმენტის შინაარსი; ადვოკატი

ატყუებდა ვ. პ.-ს და ცდილობდა მისგან დამატებითი ანაზღაურების მიღებას. დ. პ.-ს განმარტებით, ადვოკატს სულ ორჯერ შეხვდა და ვ. მ. თავს არიდებდა კლიენტთან კომუნიკაციას.

1.11 საჩივრის ავტორებმა, მათ მიერ მოწვეულ თარჯიმან ქეთევან ჩხიკვაძესთან ერთად მონაწილეობა მიიღეს 2022 წლის 20 ივნისის განხილვის კოლეგიის სხდომაში, სადაც დაადასტურეს წერილობით საჩივარში აღწერილი გარემოებები.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ვ. მ.-მა 2021 წლის 15 ნოემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც არ დაეთანხმა საჩივარში აღწერილ გარემოებებს. ადვოკატი ვ. მ. დაესწრო 2021 წლის 22 ნოემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომას და წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება საჩივართან დაკავშირებით.

2.2 ადვოკატი სადავოდ არ ხდის ფაქტს, რომ მხარეებს შორის არსებობდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა და ვ. პ.-საგან მიიღო საადვოკატო ჰონორარი 3000 აშშ დოლარი. 2021 წლის 22 ნოემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ მხარეთა შეთანხმებით, საადვოკატო მომსახურების საფასურად განისაზღვრა 6000 აშშ დოლარი. 3000 აშშ დოლარი ვ. პ.-ს საქმის წარმოების დასაწყისში, ხოლო დარჩენილი 3000 აშშ დოლარი საქმის წარმოების დასრულების შემდეგ უნდა გადაეხადა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ვ. პ.-სათვის არ უთქვამს, რომ დ. პ.-ს რვაჯერ შეხვდა სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში.

2.4 ადვოკატი განმარტავს, რომ თარჯიმანთან ერთად, რამდენჯერმე შეხვდა დ. პ.-ს სასჯელ აღსრულებით დაწესებულებაში; ვ. პ.-ს მოთხოვნისამებრ უგზავნიდა ამანათებს კლიენტს და ურიცხავდა სახარჯო თანხას. საპროცესო კოლეგიის 22 ნოემბრის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ კლიენტის ინტერესების დასაცავად არ შეუქმნია და მოუპოვებია მტკიცებულებები, თუმცა მონაწილეობდა ბრალდების მხარესთან მტკიცებულებების გაცვლის პროცესში.

2.5 ადვოკატმა განმარტა, რომ კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია საგამოძიებო ეტაპზე და სამივე ინსტანციის სასამართლოში, თუმცა აღნიშნული ვალდებულება ბოლომდე ვერ შეასრულა, რადგან კლიენტმა მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტაზე. ადვოკატის პოზიციით კლიენტის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის გამო, მას არ ეკისრება თანხის დაბრუნების ვალდებულება.

2.6 ადვოკატი განმარტავს, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, კლიენტისათვის არ დაუბრუნებია საქმის წარმოების მასალები, თუმცა მოთხოვნის შემთხვევაში თანახმაა დაუბრუნოს კლიენტს დოკუმენტაცია.

2.7 ადვოკატი ვ. მ. დაესწრო 2022 წლის 20 ივნისის განხილვის კოლეგიის სხდომას, სადაც დაადასტურა წერილობით ახსნა-განმარტებაში აღწერილი გარემოებები და დამატებით განმარტა, რომ დ. პ.-სა და მას შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა მხოლოდ თვე ნახევარი გაგრძელდა, ვინაიდან დ. პ.-მ საქმის არსებით განხილვამდე, სასამართლო პროცესზე მას აცილება დაუყენა. ადვოკატის განმარტებით, ის მონაწილეობდა საგამოძიებო და წინასასამართლო ეტაპებზე, რა დროსაც შეათანხმა სტრატეგია კლიენტთან; მიიღო ინფორმაცია, რომ კლიენტს სურდა საპროცესო

შეთანხმების გაფორმება; გამოწერა და წარადგინა ორდერი შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებში; ამზადებდა წარსადგენად შესაბამის დოკუმენტებს; არერთხელ შეხვდა დ. პ.-ს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში; ვ. პ.-ს თხოვნით, უგზავნიდა კლიენტს ამანათებს; მისი მეუღლის - ა. მ-ის დახმარებით, რუსულ ენაზე ამომწურავ ინფორმაციას აწვდიდა ვ. პ.-ს საქმის მიმდინარეობასა და დ. პ.-ს მდგომარეობაზე და კეთილსინდისიერად ასრულებდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

2.8 ადვოკატის განმარტებით, ვ. პ. კლიენტისაგან განსხვავებულ მითითებებს აწვდიდა და სთხოვდა მიემართა სახალხო დამცველისა და სხვადასხვა ორგანოსათვის, მაშინ, როცა დ. პ.-ს სურდა მხოლოდ საპროცესო შეთანხმების გაფორმება და ის, როგორც დ. პ.-ს ადვოკატი, ემზადებოდა პროკურატურისათვის საპროცესო შეთანხმების პირობების შესათავაზებლად. ადვოკატის განცხადებით, ის კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიით მოქმედებდა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება:

3.1 2021 წლის 08 დეკემბერს, მეორე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ვ. მ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ვ. მ.-მა კლიენტის სასარგებლოდ არ მოიპოვა მტკიცებულებები, არ დაესწრო სასამართლო სხდომებს, არ შეუთანხმა კლიენტს სამოქმედო სტრატეგია, არ მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია საქმის წარმოებაზე, არ აწარმოა სრული და ზუსტი ჩანაწერი საქმისწარმოების ხარჯებზე და არ დაუბრუნა კლიენტს გამოუმუშავებელი ჰონორარი, შესაძლოა ადვოკატის მიერ დარღვეული ყოფილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ა) ქვეპუნქტი და მე–6 მუხლის მე-2 პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6, მე- 12 და მე-15 ნაწილები.

3.3 საპროცესო ეტაპზე ადვოკატ ვ. მ.-ს არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა, რომ კლიენტის სასარგებლოდ მოიპოვა მტკიცებულებები, დაესწრო სასამართლო სხდომებს, შეუთანხმა კლიენტს სამოქმედო სტრატეგია, მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია საქმის წარმოებაზე, აწარმოა სრული და ზუსტი ჩანაწერი საქმისწარმოების ხარჯებზე და დაუბრუნა კლიენტს გამოუმუშავებელი ჰონორარი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტები, რომლებიც უდავოა მხარეთა შორის:

4.1.1 ადვოკატ ვ. მ.-სა და ვ. პ.-ს შორის 2020 წლის 22 ივნისს დაიდო საადვოკატო მომსახურების შესახებ N1659 ხელშეკრულება, რომლის 1.1 მუხლის საფუძველზე, ადვოკატ ვ. მ.-ს დ. პ.--ს ინტერესები უნდა წარმოედგინა: „გამოძიებაში, სასამართლოში დავების შესაბამისად ყველა საჯარო და კერძო უწყებაში, ადვოკატს ევალება ქვეყანაში არსებულ საგადასახადო გარემოზე კონსულტაციის გაწევა, წარმომადგენლობა ყველა საჯარო და კერძო უწყებაში, საინვესტიციო

გარემოს სამართლებრივ ჭრილში კონსულტაცია და ბინადრობასთან დაკავშირებულ საკითხებზე დაკვალიანება ერთი წლის განმავლობაში.“

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა განმარტება;

2020 წლის 22 ივნისის საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება.

4.1.2 ვ. პ.-მ ადვოკატ ვ. მ.-ს გადაუხადა საადვოკატო მომსახურების ჰონორარი - 3000 აშშ დოლარი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტება.

4.1.3 ადვოკატმა კლიენტს შეუთანხმა სამოქმედო სტრატეგია, კერძოდ, მხარეთა შეთახმებით, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულებული იქნებოდა თუ პროკურატურა, დ. პ.-სთან გააფორმებდა საპროცესო შეთანხმებას მისთვის მისაღებ პირობებზე. ასეთ შემთხვევაში ადვოკატი მიიღებდა დამატებით 3000 აშშ დოლარს ჰონორარის სახით.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

2020 წლის 22 ივნისის საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება.

4.1.4 ადვოკატი ვ. მ. საქმისწარმოებაში ჩართული იყო მხოლოდ საგამოძიებო და წინასასამართლო ეტაპებზე და საქმის სასამართლო განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია, ვინაიდან დ. პ.-მ დააყენა მისი აცილების შუამდგომლობა, რაც დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტება.

4.1.5 ადვოკატი ვ. მ. სოციალური ქსელის საშუალებით უკავშირდებოდა ვ. პ.-ს და მისი მეუღლის - ა. მ-ის დახმარებით რუსულ ენაზე აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატის ახსნა-განმარტება;

ამონაწერი სოციალური ქსელიდან.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ვ. მ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატმა ვ. მ.-მა არ დაუბრუნა კლიენტს გამოუმუშავებელი ჰონორარი და საქმისწარმოებისას მიღებული დოკუმენტაცია, შესაბამისად, ადვოკატ ვ. მ.-ს მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმა:

„კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი).“

6.2 „იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 10 დეკემბრის N037/14 გადაწყვეტილება).

6.3 „ადვოკატმა იურიდიული მომსახურების შეწყვეტისას კლიენტს უნდა დაუბრუნოს მისთვის გადაცემული და მის მიერ დამოუკიდებლად მოპოვებული დოკუმენტები, ასევე, კოლეგია კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ რეკომენდირებულია, როგორც პროფესიონალმა, ადვოკატმა შეადგინოს მიღება-ჩაბარების აქტი და წერილობით დააფიქსიროს კლიენტის მიერ მისთვის რაიმე დოკუმენტის გადაცემა და დაბრუნება (ეთიკის კომისიის 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N047/12).“

6.4 მხარეთა ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ ადვოკატმა ვ. მ.-მა ვ. პ.-საგან მიიღო სადვოკატო მომსახურების საფასური - 3000 აშშ დოლარი. მხარეთა ახსნა-განმარტებებიდან და ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საქმის მასალებით დგინდება, რომ საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, ადვოკატსა და კლიენტს შორის, კლიენტის ნების შესაბამისად, შეწყდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, კერძოდ, სასამართლოში არსებითი განხილვის სხდომამდე დ. პ.-მ ადვოკატ ვ. მ.-ს მიმართ დააყენა აცილების შუამდგომლობა, რაც დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ. მხარეთა ახსნა-განმარტებებითა და ადვოკატ ვ. მ.-სა და ვ. პ.-ს შორის 2020 წლის 22 ივნისის N1659 საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების 1.1 პუნქტის მიხედვით დგინდება, რომ ადვოკატ ვ. მ.-ს დ. პ.-სათვის საადვოკატო მომსახურება უნად გაეწია როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე სასამართლოში საქმისწარმოებისას. ამავე ხელშეკრულების 3.3 პუნქტის მიხედვით, საქმე დასრულებულად ჩაითვლებოდა, თუ კლიენტისათვის მისაღები პირობებით გაფორმდებოდა საპროცესო შეთანხმება. საპროცესო კოლეგიის 2021 წლის 22 ნოემბრის სხდომაზე ადვოკატმა ვ. მ.-მა აღიარა, რომ დ. პ.-სათვის სრულად არ გაუწევია საადვოკატო მომსახურება და დაადასტურა, რომ მის მიერ გაწეული საადვოკატო

მომსახურების მოცულობა ნაკლები იყო, ვიდრე მის მიერ მიღებული ჰონორარის ოდენობა, თუმცა არ მიიჩნევს, რომ გადახდილი ჰონორარის ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს, ვინაიდან ასეთ პირობას მხარეთა შორის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულება არ შეიცავდა. ადვოკატმა განმარტა ისიც, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალები არ დაუბრუნებია საჩივრის ავტორებისათვის და მოთხოვნის შემთხვევაში მზადაა მასალები გადასცეს კლიენტს.

6.5 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატს გარკვეული მოქმედებები აქვს განხორციელებული დ. პ.-ს ინტერესების სასარგებლოდ, კერძოდ, ადვოკატმა შეისწავლა საქმის მასალები; გამოწერა ორდერი, რომელიც წარადგინა საგამოძიებო ორგანოში; სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არაერთხელ შეხვდა კლიენტს და შეუთანხმა მას სამოქმედო სტრატეგია; ვ. პ.-ს თხოვნით უგზავნიდა კლიენტს ამანათებს, საქმის მდგომარეობაზე აწვდიდა ინფორმაციას ვ. პ.-ს, თუმცა, საქმის გამოკვლევის პროცესში დადგინდა, რომ ადვოკატ ვ. მ.-ს შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება სრულად არ შეუსრულებია, რაც გამოიწვია კლიენტის - დ. პ.-ს მიერ მისთვის აცილების შუამდგომლობის დაყენებამ, რომელიც დააკმაყოფილა სასამართლომ. ადვოკატ ვ. მ.-ს პროკურატურისათვის არ მიუმართავს საპროცესო შეთანხმების გაფორმების შეთავაზებით და არც სასამართლოში წარმოუდგენია დ. პ.-ს ინტერესები. აქედან გამომდინარე, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის ამ ეტაპზე ადვოკატ ვ. მ.-ს გააჩნია გამოუმუშავებელი თანხის დაბრუნების ვალდებულება, რადგან ჰონორარი ითვალისწინებდა კონკრეტული მომსახურების განხორციელებას, რაც ადვოკატის მიერ არ შესრულდა. განხილვის კოლეგია არ იზიარებს ადვოკატ ვ. მ.-ს პოზიციას, რომლის მიხედვითაც მას არ ევალება კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნება, ვინაიდან ასეთი პირობა გათვალისწინებული არ ყოფილა საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით და განმარტავს, რომ გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება დადგენილია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლით და განმტკიცებულია ეთიკის კომისიის პრაქტიკით. ადვოკატი ვალდებულია, მიუხედავად იმისა ვისი ინიციატივით შეწყდა ადვოკატ-კლიენტის ვალდებულება, მიღებული ჰონორარიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურების პროპორციული გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა, როგორც გამოუმუშავებელი ჰონორარი, გონივრულ ვადაში დაუბრუნოს კლიენტს. ასევე, ადვოკატი ვ. მ. ვალდებულია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულებისას, საქმის მასალები სრულად დაუბრუნოს კლიენტს, რაც ასევე აუცილებელ პირობას წარმოადგენს კლიენტის უფლებების რეალიზაციისათვის.

6.6 განსახილველ შემთხვევაში, ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ არ დგინდება შემდეგი მუხლების დარღვევა:

„ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს, კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა და შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 8.5).“

„ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2 მუხლი).“

„ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ (ეთიკის კოდექსის 8.6 მუხლი).“

6.7 „ადვოკატმა კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა, რაც გულისხმობს ადვოკატის ვალდებულებას კლიენტის სახელით და კლიენტის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი. ადვოკატი იურიდიული მომსახურების გაწევისას დაწვრილებით უნდა ეცნობოდეს საქმის თითოეულ გარემოებას და აფასებდეს სავარაუდო საფრთხეებს, ვინაიდან შესაძლებელია აღნიშნულს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს საქმის კლიენტის ინტერესებისათვის და სასამართლო საქმის შედეგისათვის. საქმის მომზადების მიზნით, ადვოკატის ვალდებულებაა დაცვის პოზიცია და წარმომადგენლობის ტაქტიკა შეათანხმოს კლიენტთან, კლიენტის ინტერესების უპირატესობის გათვალისწინებით.“ (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე N061/12).

6.8 ,,ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია და კავშირი ჰქონდეს მასთან საქმის წარმოების პროცესში, როდესაც ადვოკატის მიერ საქმესთან დაკავშირებით ხორციელდება საპროცესო მოქმედებები და საქმესთან დაკავშირებით არსებობს ახალი გარემოებები“ (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2010 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე 022/10).

6.9 მხარეთა ახსნა-განმარტებებიდან და საქმის მასალებიდან დადგინდა, რომ ადვოკატმა ვ. მ.-მა გამოწერა ორდერი და წარადგინა ის საგამოძიებო ორგანოში; შეისწავლა საქმის მასალები; არაერთხელ შეხვდა კლიენტს; კლიენტთან ერთად დაგეგმა სამოქმედო სტრატეგია; კლიენტის მითითების შესაბამისად, პროკურატურისათვის შესათავაზებლად ამზადებდა საპროცესო შეთანხმების პირობებს; სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ დ. პ.-ს უგზავნიდა სხვადასხვა გზავნილებს. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობიდან თვე-ნახევრის შემდეგ ადვოკატ ვ. მ.-ს დ. პ.-მ დაუყენა აცილება, რაც კლიენტის უფლებას წარმოადგენს.

6.10 განხილვის კოლეგია უთითებს, რომ ეთიკის კომისია ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებას №ას-872-830-2013, რომლის მიხედვითაც ,,საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმოადგენს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ ელემენტებს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც თუნდაც მოწმეთა ჩვენებებთან ერთობლივად უტყუარად მიუთითებენ ყველა მნიშვნელოვან გარემოებებზე“. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ კლიენტის არაკეთილსინდისიერი მომსახურება კლიენტის სამტკიცებელია. საჩივრის ავტორებს ეთიკის კომისიისათვის არ წარუდგენიათ ისეთი უტყუარი მტკიცებულება, რაც კომისიას დაარწმუნებდა ადვოკატ ვ. მ.-ს მიერ კლიენტისათვის კეთილსინდისიერი საადვოკატო მომსახურების გაუწევლობაში.

6.11 ადვოკატმა ვ. მ.-მა 2022 წლის 05 ივნისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა სოციალურ ქსელში ვ. პ.-სთან 2020 წლის 20 ივნისიდან, ამავე წლის 30 წლის ივლისის პერიოდში არსებული მიმოწერა, რაც ადასტურებს, რომ ადვოკატი ვ. მ. ინფორმაციას აწვდიდა მას საქმისწარმოებაზე. თავის მხრივ,

საჩივრის ავტორებს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენიათ ისეთი უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც კომისიას დაარწმუნებდა, რომ ადვოკატი ვ. მ. არ აწვდიდა მათ ინფორმაციას საქმისწარმოებაზე. შესაბამისდ, განხილვის კოლეგია დადგენილად არ მიიჩნევს კლიენტისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობის ფაქტს.

6.12 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ საქმისწარმოების მასალების გაცნობის შემდეგ, არ დადგინდა, რომ გარდა ჰონორარის - 3000 აშშ დოლარისა, ადვოკატმა ვ. მ.-მა საჩივრის ავტორებისაგან მიიღო სხვა თანხა. შესაბამისად, საქმის მასალებით არ დგინდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.12 მუხლის დარღვევა.

6.13 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ბრალის ხარისხზე და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობაზე.

6.14 ადვოკატს, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური სახდელი (გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა) ან/და ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 34).

6.15 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-15, 01.04.2015).

6.16 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017).

6.17 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.“

6.18 ეთიკის კომისია ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, ზიანს, ფაქტს, რომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ადვოკატს არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი და ადგენს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული

პროფესიული ვალდებულების დარღვევის პროპორციული დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმა.

6.19 განხილვის კოლეგია ასევე განმარტავს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა მხოლოდ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს და არა პასუხისმგებლობის ან სახდელის სახეს. კერძო სარეკომენდაციო ბარათი თავისი შინაარსით შეიცავს, მხოლოდ რჩევებს და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით, ხოლო მისი გაცემის ფაქტი კონკრეტულ ადვოკატზე ეცნობება მხოლოდ განხილვის მხარეებს. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ხელმისაწვდომია მხოლოდ ადვოკატისთვის. (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 38).

6.20 კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35–ე და 38–ე მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N070/21 ადვოკატ ვ. მ.-ს /სიითი N/ მიმართ დადგინდეს დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/